

ძირითად სიმდიდრეს მუნიციპალიტეტისათვის წარმოადგენს ტყეები. მისი ფართობია 76859 ჰა, აქედან ტყით დაფარულია 74530 ჰა, რაც მუნიციპალიტეტის ტერიტორიის 65.3% -ია. აქ ტყეები უმთავრესად შერეული ხასიათისაა. გავრცელებულია კოლხური ტიპის ჯიშები, რომლებიც გამოირჩევიან მერქნიან მცენარეთა სახეობრივი შემადგენლობის სიმდიდრით. ფოთლოვანი ჯიშებიდან გავრცელებულია: მუხა, რცხილა, ცაცხვი, ვერხვი, ნეკერჩხალი, წაბლი, უთხოვარი, იფანი, წიწვანიდან: სოჭი, ფიჭვი, ნაძვი და სხვა. ტყეებს აქ უმთავრესად სოციალური მნიშვნელობა აქვს. ისინი ასრულებენ ნიადაგდაცვით წყალმარეგულირებელ, სანიტარულ-ჰიგიენურ ფუნქციებს, აგრეთვე იცავენ დასახლებულ ადგილებს და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს ღვარცოფებისა და ზვავებისაგან.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტი განსაკუთრებით მდიდარია ჰიდროლოგიურად. წყლის ძირითადი არტერიაა მდ. რიონი, რომელიც სათავეს იღებს კავკასიონის მთავარი ქედიდან – ფასის მთიდან, რიონის შენაკადებია კრიხულა, ზნაკურა, შარეულა, ლუხუნი, რიცეულა, ასკი.

შაორის წყალსაცავი ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ულამაზესი ადგილია. იგი ხელოვნურ წყალსაცავს წარმოადგენს, რომლის ირგვლივ გამშენებულია უნიკალური ჯიშის ტყეები.



მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია ქ. ამბროლაური. მანძილი ქ. თბილისსა და ქ. ამბროლაურს შორის 280 კმ – ია, ხოლო მანძილი უახლოეს რკინიგზის სადგურამდე კი 35 კმ (ტყიბულის მუნიციპალიტეტი). ქ. ამბროლაურის გარდა მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში შედის 18 ტერიტორიული ერთეული (თემები), რომლებშიც გაერთიანებულია 69 სოფელი.

ცხრილი N 1. მუნიციპალიტეტში შემავალი დასახლებები

| ადმინისტრაციული ორგანო | სოფელი |
|------------------------|--------|
|------------------------|--------|

| | | |
|----|------------------|---------------|
| 1 | ბუგეულსთემი | აბანოეთი |
| | | ბარეული |
| | | ბუგეული |
| | | გორისუბანი |
| | | ქედისუბანი |
| | | ჯვარისა |
| 2 | ველევსთემი | ბეთლევი |
| | | ველევი |
| | | კვირიკეწმინდა |
| | | შხივანა |
| 3 | ზნაკვისთემი | ზნაკვა |
| | | მოტყიარი |
| | | საკეცია |
| 4 | იწისთემი | ახალსოფელი |
| | | გორი |
| | | იწა |
| | | ქვემოკრიხი |
| | | შუაკრიხი |
| | | ზემოკრიხი |
| 5 | ლიხეთისთემი | აბარი |
| | | ლიხეთი |
| | | ურავი |
| 6 | ნამანევისთემი | თხმორი |
| | | ნამანევი |
| | | ზედაშავრა |
| | | ხონჭიორი |
| 7 | ნიკორწმინდისთემი | კაჩაეთი |
| | | ნიკორწმინდა |
| | | ხარისთვალი |
| 8 | სადმელისთემი | ბოსტანა |
| | | კლდისუბანი |
| | | სადმელი |
| | | ღვიარა |
| | | ძირაგეული |
| 9 | სხვავისთემი | ზემოსხვავა |
| | | შუასხვავა |
| | | ფუტიეთი |
| 10 | ლადიშისთემი | ბაჯი |
| | | პატარაონი |
| | | ტბეთი |
| | | ქვედაშავრა |
| | | ლადიში |
| 11 | ცახისთემი | გოგოლათი |
| | | ზედაღვარდია |
| | | ქვედაღვარდია |
| | | ცახი |

| | | |
|----|----------------|-------------|
| 12 | წესისთემი | მუხლი |
| | | წესი |
| 13 | ჭელიაღელისთემი | აგარა |
| | | ზედათლული |
| | | უყეში |
| | | ქვედა თლული |
| | | ჭელიაღელე |
| 14 | ჭრებალოსთემი | გენდუმი |
| | | ზემოჟომბა |
| | | ქვემოჟომბა |
| | | ჭრებალო |
| | | ზედაჭყვიში |
| 15 | ჭყვიშისთემი | ჭყვიში |
| | | ქვიშარი |
| | | დიდიჩორჯო |
| 16 | ხვანჭკარისთემი | პატარაჩორჯო |
| | | მეორეტოლა |
| | | პირველიტოლა |
| | | ხვანჭკარა |
| | | კვაცხუთი |
| 17 | ხიდიკარისთემი | ხიმში |
| | | სხარტალი |
| 18 | ხოტევისთემი | წკადისი |
| | | ხოტევი |

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში 2018 წლის მდგომარეობით რეგისტრირებულია 13484 ადამიანიდან (6602 კაცია და 6882 - ქალი იხ. დანართი N1)

| 2018.12.31 | | | |
|--|------|------|------|
| მდგომარეობით ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ პირთა რაოდენობა და სახლები ულიპუნქტის დასქესის მიხედვით | | | |
| დასახლებული პუნქტი | სულ | კაცი | ქალი |
| ამბროლაური | 2646 | 1207 | 1439 |
| სადმელი | 758 | 379 | 379 |
| ნიკორწმინდა | 606 | 293 | 313 |
| ხვანჭკარა | 593 | 303 | 290 |
| წესი | 552 | 270 | 282 |

| | | | |
|-------------|-----|-----|-----|
| ჭყვიში | 406 | 193 | 213 |
| კვაცხუთი | 391 | 174 | 217 |
| ბუგეული | 377 | 180 | 197 |
| ჭრებალო | 361 | 185 | 176 |
| ურავი | 352 | 168 | 184 |
| მეორეტოლა | 343 | 171 | 172 |
| ლიხეთი | 335 | 171 | 164 |
| პირველიტოლა | 335 | 180 | 155 |
| ბოსტანა | 317 | 156 | 161 |
| ძირაგეული | 309 | 154 | 155 |
| ჟომხა | 301 | 153 | 148 |
| ჩორჯო | 300 | 149 | 151 |
| თლული | 231 | 121 | 110 |
| ხოტევი | 224 | 109 | 115 |
| საკეცია | 212 | 105 | 107 |
| ხიმში | 179 | 94 | 85 |
| ზნაკვა | 179 | 99 | 80 |
| ღვიარა | 171 | 82 | 89 |
| კრიხი | 156 | 86 | 70 |
| აბარი | 154 | 86 | 68 |
| სხვავა | 142 | 78 | 64 |
| ჯვარისა | 134 | 63 | 71 |
| აგარა | 132 | 61 | 71 |
| ჭელიაღელე | 122 | 59 | 63 |
| იწა | 108 | 56 | 52 |
| ბაჯი | 107 | 61 | 46 |
| კაჩაეთი | 106 | 53 | 53 |
| პატარაონი | 104 | 50 | 54 |

| | | | |
|---------------|-----|----|----|
| ხონჭიორი | 103 | 51 | 52 |
| აბანოეთი | 102 | 53 | 49 |
| ველევი | 101 | 45 | 56 |
| უყეში | 101 | 51 | 50 |
| კლდისუბანი | 81 | 41 | 40 |
| ცახი | 69 | 36 | 33 |
| ლადიში | 68 | 30 | 38 |
| ზედაშავრა | 67 | 33 | 34 |
| ქვიშარი | 66 | 27 | 39 |
| ბარეული | 66 | 31 | 35 |
| ზედაჭყვიში | 63 | 29 | 34 |
| ახალსოფელი | 57 | 25 | 32 |
| ქედისუბანი | 54 | 27 | 27 |
| ქვედათლული | 53 | 27 | 26 |
| თხმორი | 53 | 33 | 20 |
| გორი | 51 | 28 | 23 |
| ქვედაშავრა | 48 | 23 | 25 |
| ნამანევი | 47 | 25 | 22 |
| გორისუბანი | 44 | 23 | 21 |
| ტბეთი | 39 | 19 | 20 |
| მუხლი | 39 | 21 | 18 |
| კვირიკეწმინდა | 36 | 14 | 22 |
| ღვარდია | 35 | 12 | 23 |
| გენდუში | 33 | 16 | 17 |
| ბეთლევი | 33 | 20 | 13 |
| ზედაღვარდია | 31 | 12 | 19 |
| ზემოკრიხი | 29 | 14 | 15 |
| შხივანა | 23 | 11 | 12 |

| | | | |
|--------------|--------------|-------------|-------------|
| გოგოლათი | 21 | 7 | 14 |
| ზემოყოშხა | 20 | 13 | 7 |
| ზედათლული | 19 | 9 | 10 |
| ფუტიეთი | 16 | 8 | 8 |
| შავრა | 15 | 10 | 5 |
| მოტყიარი | 13 | 6 | 7 |
| ქვემოყოშხა | 13 | 5 | 8 |
| სხარტალი | 11 | 6 | 5 |
| წკადისი | 9 | 3 | 6 |
| ქვემოკრიხი | 7 | 5 | 2 |
| ქვედაღვარდია | 4 | 3 | 1 |
| ხარისთვალი | 1 | 1 | 0 |
| ჯამი | 13484 | 6602 | 6882 |

| ასაკობრივი ჯგუფი | რაოდენობა |
|--------------------------|--------------|
| 0-დან 7 წლამდე ასაკის | 765 |
| 7-დან 19 წლამდე ასაკის | 1215 |
| 19-დან 46 წლამდე ასაკის | 4103 |
| 46-დან 66 წლამდე ასაკის | 3900 |
| 66-დან 91 წლამდე ასაკის | 3429 |
| 91-დან 100 წლამდე ასაკის | 71 |
| 100 წლის დამეტი | 1 |
| სულ | 13484 |

მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობა - **12701** კაცი.

ხსნივ სოციალური მომსახურების სააგენტოს რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის ინფორმაციით ამბროლაურის მუნიციპალიტეტის რეგისტრირებულ პენსიონერთა რაოდენობა არის 4114 კაცი.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველთა რაოდენობა - 5300 კაცი.

მაღალმთიანდასახლებებში მცხოვრებთარაოდენობა -901 ადამიანია.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტის დოკუმენტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განვითარების ერთ-ერთ ძირითად დოკუმენტს, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შესახებ, ანუ მასში გათვალისწინებულია ძირითადი პრიორიტეტები და მიმართულებები გასული, მიმდინარე, დასაგეგმი და დასაგეგმის შემდგომი სამი წლისათვის.

2020 წლისთვის, ისევე როგორც 2018-2019 წლებში შემუშავდა 2020 – 2023 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა, ჩამოყალიბდა მუნიციპალიტეტის განვითარების ძირითადი მიმართულებები და გამოიკვეთა ბიუჯეტში გასათვალისწინებელი პრიორიტეტები და პროგრამები. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული მიმართულებებია:

- ✓ წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები
- ✓ თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება.
- ✓ ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება;
- ✓ განათლება;
- ✓ კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი;
- ✓ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა,

სწორედ ამ პრიორიტეტების გათვალისწინებით მოხდა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დაგეგმვა, რომელიც ასახავს მუნიციპალიტეტის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებს და საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში მიმზრდველების გადაწყვეტის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს, რომელიც ველაზე აქტუალურია საზოგადოებისათვის.

2019 წელი - ბიუჯეტის შესრულების ანალიზი

ბიუჯეტის ბალანსი

| დასახელება | 2019 წლის გეგმა | მ.შ. სხვა დონის ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერი | მ.შ. საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე |
|---------------------------------|-----------------|---|---|
| შემოსავლები | 16035,65 | 7868,78 | 8166,87 |
| გადასახადები | 7431,40 | 0,00 | 7431,40 |
| გრანტები | 7868,78 | 7868,78 | 0,00 |
| სხვა შემოსავლები | 735,47 | 0,00 | 735,47 |
| ხარჯები | 8533,63 | 1122,75 | 7410,88 |
| შრომის ანაზღაურება | 1850,00 | 60,00 | 1790,00 |
| საქონელი და მომსახურება | 1528,52 | 202,10 | 1326,42 |
| პროცენტი | 60,20 | 0,00 | 60,20 |
| სუბსიდიები | 3470,11 | 64,10 | 3406,01 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 573,35 | 0,6 | 572,75 |
| სხვა ხარჯები | 1051,45 | 795,95 | 255,50 |
| საოპერაციო სალდო | 7502,02 | 6746,03 | 755,99 |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | 9927,09 | 7433,77 | 2493,32 |
| ზრდა (ა) | 10017,09 | 7433,77 | 2583,32 |
| კლება (ა) | 90,00 | 0,00 | 90,00 |

| | | | |
|--------------------------------|----------|---------|----------|
| მთლიანი სალდო | -2425,07 | -687,74 | -1737,33 |
| ფინანსური აქტივების ცვლილება | -2425,07 | -687,74 | -1737,33 |
| ზრდა (ფ) | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| კლება (ფ) | 2425,07 | 687,74 | 1737,33 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 2425,07 | 687,74 | 1737,33 |
| ვალდებულებების ცვლილება | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| კლება (ვ) | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| საშინაო | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| სესხები | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| სხვა კრედიტორული დავალიანებები | 0,00 | 0,00 | 0,00 |

საშემოსავლო ნაწილი:

(ათას ლარებში)

შემოსულობები (არაფინანსური აქტივების ჩათვლით) შესრულებულია 100,3 %-ით. ნაცვლად გეგმიური 16125,7 ათ. ლარისა, შემოსულია 16172,1 ათ.ლარი.

მათ შორის:

1. გადასახადები შესრულებულია 101.1 % -ით. ნაცვლად გეგმიური 7431,4 ათ. ლარისა, შემოსულია 7513,0 ათ.ლარი. მათ შორის:

1.1. გადასახადები ქონებაზე შესრულებულია 49,3 %-ით. ნაცვლად გეგმიური 500,0 ათ. ლარისა შემოსულია 246,5 ათ ლარი.

აქედან:

1.1.1. საწარმოთა ქონება გარდა მიწისა შესრულებულია 28,6 %-ით. ნაცვლად გეგმიური 488,9 ათ. ლარისა შემოსულია 140,0 ათ ლარი.

1.1.2. ფიზიკურ პირთა ქონება გარდა მიწისა შემოსულია 11,2 ათ ლარი.

1.1.3. სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი შემოსულია 35.5 ათ ლარი.

1.1.4. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი შემოსულია 63,0 ათ ლარი.

1.2. სხვა გადასახადები - დამატებული ღირებულების გადასახადი შესრულებულია 104,8%-ით. ნაცვლად გეგმიური 6931,4 ათ. ლარისა შემოსულია 7266,5 ათ ლარი. მათ შორის:

1.2.1. საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზებული პროდუქციიდან და გაწეული მომსახურებიდან 2102,2 ათ. ლარი

1.2.2. იმპორტირებული პროდუქციიდან 5164,3 ათ. ლარი.

2. გრანტები შესრულებულია 99.6 %-ით. ნაცვლად გეგმიური 7868,8 ათ. ლარისა, შემოსულია 7833,4 ათ. ლარი. მათ შორის:

2.1. მიზნობრივი ტრანსფერი შესრულებულია 98,2 %-ით. ნაცვლად გეგმიური 638,0 ათ. ლარისა, შემოსულია 626.7 ათ. ლარი. (სკოლების რეაბილიტაციის თანხა 310,0 ათასი ლარის ოდენობით ჩამორიცხულია, როგორც კაპიტალური ტრანსფერი და ხაზინის მონაცემებით მიზნობრივი ტრანსფერი შეადგენს 316,7 ათ. ლარს)

2.2. კაპიტალური ტრანსფერი შესრულებულია 99,7 %-ით. ნაცვლად გეგმიური 7230,8 ათ. ლარისა, შემოსულია 7206.7 ათ. ლარი.

3. სხვა შემოსავლები შესრულებულია 98,8 %-ით. ნაცვლად გეგმიური 735,5 ათ. ლარისა, შემოსულია 726,9 ათ. ლარი. მათ შორის:

- 3.1. შემოსავალი საკუთრებიდან შესრულებულია 98,8 %-ით. ნაცვლად გეგმიური 392,0 ათ. ლარისა, შემოსულია 387,3 ათ. ლარი. აქედან:
- 3.1.1. დეკორატივზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტი შესრულებულია 98,2 %-ით. ნაცვლად გეგმიური 109,5 ათ. ლარისა, შემოსულია 108,0 ათ. ლარი.
- 3.1.2. რენტა - მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის შესრულებულია 98,8 %-ით. ნაცვლად გეგმიური 282,5 ათ. ლარისა შემოსულია 279,0 ათ ლარი.
- 3.1.3. შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) შესრულებულია 30,3 %-ით. ნაცვლად გეგმიური 30,0 ათ. ლარისა შემოსულია 9,1 ათ ლარი.
- 3.2. საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია შესრულებულია 115,0 %-ით. ნაცვლად გეგმიური 58,0 ათ. ლარისა, შემოსულია 66,7 ათ. ლარი. მათ შორის:
- 3.2.1. ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები შესრულებულია 125,5 %-ით. ნაცვლად გეგმიური 31,0 ათ. ლარისა, შემოსულია 38,9 ათ. ლარი.
- 3.3. არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება შესრულებულია 163 %-ით. ნაცვლად გეგმიური 21,5 ათ. ლარისა შემოსულია 35,0 ათ. ლარი. აქედან:
- 3.3.1. სანქციები (ჯარიმები და საურავები) შესრულებულია 108,9 %-ით. ნაცვლად გეგმიური 250,5 ათ. ლარისა. შემოსულია 272,9 ათ ლარი.
4. შემოსულობა არაფინანსური აქტივებიდან შესრულებულია 109,7 %-ით. ნაცვლად გეგმიური 90,0 ათ. ლარისა შემოსულია 98,7 ათ ლარი.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გადასახდელები

ამბროლაურის მუნიციპალიტეტი სულ: შესრულებულია 97,2 %. გეგმა 18550,7 ათ ლარი, ფაქტიური შესრულება 18028,0 ათ.ლარი.

1. ხარჯები ათვისებულია 97,8 %-ით. გეგმიური 8534,0 ათ. ლარი, ათვისებულია 8347,5 ათ. ლარი.
მათ შორის:
1. შრომის ანაზღაურება 99,8 %-ით, გეგმიური 1859,6 ათ. ლარი, ათვისება 1856,3 ათ. ლარი.
2. საქონელი და მომსახურება 93,3 %-ით, გეგმიური 1552,5 ათ. ლარი, ათვისება 1448,2 ათ. ლარი.
3. პროცენტი 100,0 %-ით, გეგმიური 53,8 ათ. ლარი, ათვისება 53,8 ათ. ლარი.
4. სუბსიდიები 99,1 %-ით, გეგმიური 3479,1 ათ. ლარი, ათვისებულია 3447,3 ათ. ლარი.
5. სოციალური უზრუნველყოფა 98,0 %, გეგმიური 510,9 ათ. ლარი, ფაქტიური 500,7 ათ. ლარი.
6. სხვა ხარჯები 96,6 %, გეგმიური 1078,3 ათ. ლარი, ათვისებულია 1041,1 ათ. ლარი.
7. არაფინანსური აქტივების ზრდა 96,6 % გეგმიური 9962,9 ათ. ლარი, ათვისებულია 9626,7 ათ. ლარი.
8. ვალდებულების კლება 100,0 %-ით, გეგმიური 53,9 ათ. ლარი, ათვისებულია 53,9 ათ.ლარი.

პრიორიტეტი 01 00 წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება

ჯამური შესრულება 98,9 %. გეგმა 2636,4 ათ ლარი, ფაქტიური შესრულება 2606,4 ათ.ლარი.

1. ხარჯები ათვისებულია 98,8 %-ით. გეგმიური 2541,2 ათ. ლარი, ათვისებულია 2511,3 ათ. ლარი.
მათ შორის:
1. შრომის ანაზღაურება 99,9 %-ით, გეგმიური 1799,6 ათ. ლარი, ათვისება 1798,1 ათ. ლარი.
2. საქონელი და მომსახურება 95,5 %-ით, გეგმიური 573,0 ათ. ლარი, ათვისება 547,2 ათ. ლარი.
3. პროცენტი 100,0 %-ით, გეგმიური 53,8 ათ. ლარი, ათვისება 53,8 ათ. ლარი.

4. სუბსიდიები 100,0 %-ით, გეგმიური 13,5 ათ. ლარი, ათვისებულია 13,5 ათ. ლარი.
5. სოციალური უზრუნველყოფა 99,6 %, გეგმიური 27,7 ათ. ლარი, ფაქტიური 27,5 ათ. ლარი.
6. სხვა ხარჯები 96,5 %, გეგმიური 73,7 ათ. ლარი, ათვისებულია 71,1 ათ. ლარი.
7. არაფინანსური აქტივების ზრდა 99,8 % გეგმიური 41329 ათ. ლარი, ათვისებულია 41233 ათ. ლარი.
8. ვალდებულებების კლება 100,0 %-ით, გეგმიური 53,9 ათ. ლარი, ათვისებულია 53,9 ათ.ლარი.

პროგრამული კოდი 01 01 - მუნიციპალიტეტის საკრებულო

პროგრამის ბიუჯეტი შესრულებულია 98,8 %-ით. გეგმიური 651,8 ათ. ლარი, ათვისებულია 644,1 ათ. ლარი.

1. ხარჯები ათვისებულია 98 %-ით, გეგმიური 651.8 ათ. ლარი, ათვისებულია 644.1 ათ. ლარი.

მათ შორის:

2. საქონელი და მომსახურეობა 93.2 %, გეგმიური 88.2 ათ.ლარი, ათვისებულია 82.3 ათ.ლარი.
3. სოციალური უზრუნველყოფა 98.8 %, გეგმიური 8.2 ათ. ლარი, ათვისებულია 8.1 ათ. ლარი.
4. სხვა ხარჯები 98.2 %, გეგმიური 65.9 ათ. ლარი, ათვისებულია 64.6 ათ. ლარი.
5. არაფინანსური აქტივების ზრდა 99.2 % გეგმიური 9.0 ათ. ლარი, ათვისებულია 8.9 ათ. ლარი.

პროგრამული კოდი 01 02 - მუნიციპალიტეტის მერია

პროგრამის ბიუჯეტი შესრულებულია 98,9 %-ით. გეგმიური 1866,5 ათ. ლარი, ათვისებულია 1845,7 ათ. ლარი.

1. ხარჯები ათვისებულია 98,9 %-ით. გეგმიური 1834,2 ათ. ლარი, ათვისებულია 1813,4 ათ. ლარი.

მათ შორის:

- შრომის ანაზღაურება 99,9 %-ით, გეგმიური 1310,0 ათ. ლარი, ათვისებულია 1309,1 ათ. ლარი.
- საქონელი და მომსახურება 95,9 %-ით, გეგმიური 484,8 ათ. ლარი, ათვისებულია 464,9 ათ. ლარი.
- სუბსიდიები 100,0 %, გეგმიური 13,5 ათ. ლარი, ათვისება 13,5;
- სოციალური უზრუნველყოფა 99,9 %-ით, გეგმიური 19,5 ათ. ლარი, ათვისებულია 19,4 ათ. ლარი.
- სხვა ხარჯები 100,0%-ით, გეგმიური 6,5 ათ. ლარი, ათვისებულია 6,5 ათ. ლარი.
- არაფინანსური აქტივების ზრდა 99,9 % გეგმიური 32,3 ათ.ლარი, ათვისებულია 32,3 ათ.ლარი.

პროგრამული კოდი 01 03 სარეზერვო ფონდი

2019 წელს გახარჯულია სარეზერვო ფონდი 35.7 ათ. ლარის ოდენობით

ხარჯვა განხორციელდა შემდეგი საჭიროებისათვის:

1. აეროპორტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების შემოსაღობავად 2500 ლარი
2. ბრატისლავარაჰის ქუჩაზე (საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორია) სანიაღვრე არხის გაწმენდის სამუშაოებისათვის 2117 ლარი
3. სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებისათვის 3685 ლარი
4. სოფელ უყეშში ჭაბურღილისათვის კაბელის შესამენად 2280 ლარი
5. სოფ. წესში მოპოვებული წყაროს ზედაპირული შეკრებისა და 1000 გრძივ მეტრზე D-63 პოლიეთილენის მილით არსებულ შემკრებზე დაერთების სამუშაოების შესყიდვისათვის 9948 ლარი

6. სესხის სახით გადმოცემული კომპაქტორიანი თვითმცლელი ნაგავმზიდი მანქანის და კონტეინერების სესხისძირის დასაფარად 10197 ლარი

7. ამბროლაურის რაიონული სასამართლოს დადგენილებით დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელის გადასახდელად 5000 ლარი
პროგრამული კოდი 01 05 წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა
2019 წლის ვალდებულებები დაფარულია 100,0%-ით. ვალდებულება 109,7 ათ. ლარი, დაფარვა 107,7 ათ. ლარი

პრიორიტეტი 02 00 - თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

პრიორიტეტში ბიუჯეტი შესრულებულია 81,4 %-ით. გეგმიური 74,7 ათ.ლარი, ათვისებულია 60,8 ათ. ლარი.

პროგრამული კოდი 02 02 ქვეყნის თავდავისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა

ხარჯები ათვისებულია 81,4 %-ით. გეგმიური 74,7 ათ.ლარი, ათვისებულია 60,8 ათ. ლარი.

მათ შორის:

1. შრომის ანაზღაურება 97,0 %-ით. გეგმიური 60,0 ათ. ლარი, ათვისებულია 58,2 ათ. ლარი.
2. საქონელი და მომსახურება 18,6 %. გეგმიური 14,1 ათ. ლარი, ათვისებულია 2,6 ათ. ლარი.
3. სოციალური უზრუნველყოფა 0%-ით. გეგმიური 0,6 ათ. ლარი, ათვისებულია 0 ათ. ლარი.

პრიორიტეტი 03 00 - ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია:

პრიორიტეტის ბიუჯეტი შესრულებულია 96,8 %-ით. გეგმიური 11397,6 ათ.ლარი, ათვისებულია 11035,4 ათ. ლარი.

1. ხარჯები ათვისებულია 97,8 %-ით. გეგმიური 2281,4 ათ. ლარი, ათვისებულია 2230,1 ათ. ლარი.

მათ შორის:

- საქონელი და მომსახურება 96,9 %-ით, გეგმიური 579,5 ათ. ლარი, ათვისებულია 561,7 ათ. ლარი.
- სუბსიდიები 99,7 %, გეგმიური 890,0 ათ. ლარი, ათვისება 882,4;
- სხვა ხარჯები 96,2%-ით, გეგმიური 817,2 ათ. ლარი, ათვისებულია 786,0 ათ. ლარი.
- არაფინანსური აქტივების ზრდა 96,6 % გეგმიური 9,1 ათ.ლარი, ათვისებულია 8,8 ათ.ლარი.

პროგრამული კოდი 03 01 - საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა

პროგრამის ბიუჯეტი შესრულებულია 99,4 %-ით. გეგმიური 3979,0 ათ.ლარი, ათვისებულია 3955,1 ათ.ლარი.

მათ შორის:

- ხარჯები 96,1 %-ით, გეგმიური 295,0 ათ. ლარი, ათვისებულია 283,5 ათ. ლარი.
- არაფინანსური აქტივების ზრდა 99,7 % გეგმიური 3684,1 ათ.ლარი, ათვისებულია 3671,6 ათ.ლარი.

პროგრამის ფარგლებში 2019 წელს განხორციელდა: გზების მოვლა-შენახვისა და კაპიტალური შეკეთების ღონისძიებები, ხიდ-ბოგირების და საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოები სოფლებში: თხმორი, ხვანჭკარა, ლიხეთი, აბარი, ქვეშვაკე, მოეწყო ბეტონის გზის დამცავი

კედელი სოფლებში: ხვანჭკარა, სადმელი, ბოსტანა, იწა. განხორციელდა რეგიონალური დაფინანსების ფარგლებში ადგილობრივი ბიუჯეტით თანადაფინანსება.

2019 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხებით დაფინანსდა: ქ. ამბროლაურში ქუჩების რეაბილიტაციის სამუშაოები, სოფლების:ჭელიადელე-თლუდი-ხოტევის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია, სოფელ კრიხის გზის რეაბილიტაცია(გაგრძელება), ჭყვიშის გზის რეაბილიტაცია.

2018 წლის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ნაშთის ფარგლებში გაგრძელდა ქალაქ ამბროლაურში გამსახურდიას, ბარათაშვილის და გოგებაშვილის ქუჩების ჩიხების ასფალტო-ბეტონის საფარიანი გზების მოწყობის სამუშაოები. პროგრამული კოდი 03 02 - კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

პროგრამის ბიუჯეტი შესრულებულია 93,4 %-ით. გეგმიური 4874,4 ათ.ლარი, ათვისებულია 4554,0 ათ. ლარი.

მათ შორის:

- ხარჯები 96,6 %-ით, გეგმიური 1080,5 ათ. ლარი, ათვისებულია 1043,2 ათ. ლარი.
- არაფინანსური აქტივების ზრდა 92,5 % გეგმიური 3793 ათ.ლარი, ათვისებულია 3671,6 ათ.ლარი.

მათ შორის, პროგრამულ კოდებზე:

03 02 01 - გარე-განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია

ბიუჯეტი შესრულებულია 99,2 %-ით. გეგმიური 261,6 ათ. ლარი, ათვისებულია 259,6 ათ.ლარი.

მათ შორის:

- ხარჯები 96,12 %-ით, გეგმიური 178,0 ათ. ლარი, ათვისებულია 176,6 ათ. ლარი.
- არაფინანსური აქტივების ზრდა 99,2 % გეგმიური 83,6 ათ.ლარი, ათვისებულია 82,9 ათ.ლარი.

ამ ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება გარე-განათების ქსელის რეაბილიტაცია და ელექტროენერჯის ღირებულების დაფინანსება.

03 02 02 - დასუფთავების ღონისძიებები

ბიუჯეტი შესრულებულია 19,1 %-ით. გეგმიური 299,4 ათ.ლარისა, ათვისებულია 57,2 ათ. ლარი.

მათ შორის:

- ხარჯები 99,7 %-ით, გეგმიური 33,5 ათ. ლარი, ათვისებულია 33,4 ათ. ლარი.
- არაფინანსური აქტივების ზრდა 8,9 % გეგმიური 265,8 ათ.ლარი, ათვისებულია 23,7 ათ.ლარი.

ამ კოდზე ბიუჯეტის შეუსრულებლობას აქვს ობიექტური მიზეზი. კერძოდ, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხებით დაფინანსდა სოფ. ურავში, ყოფილი სამთო ქიმიური ქარხნის ტერიტორიაზე არსებული, მავნე ნარჩენების საკონსერვაციო სამუშაოების მეორე რიგი. მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტის შესაბამისმა სამსახურებმა ყველა საჭირო ღონისძიება გაატარეს, აღნიშნული პროექტის შესასრულებლად, მერიის მიერ გამოცხადებული ტენდერი რამდენჯერმე ჩავარდა, ხოლო ბოლოს გამოვლენილმა გამარჯვებულმა კომპანიამ, სამუშაოების განხორციელება დაიწყო პროექტის დარღვევით და მასთან შეწყვეტილ იქნა კონტრაქტი . მეტეოროლოგიური პირობების გამო, არ გახარჯულა თოვლწმენდის

ღონისძიებებისათვის გამოყოფილი თანხები. 2019 წელს უზრუნველყოფილ იქნა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული თვითმცლელი ნაგავმზიდის ტექნიკური მომსახურება და შესაბამისი ნაწილებით მომარაგება.

03 02 03 - მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამუშაოები

ბიუჯეტი შესრულებულია 97,8 %. გეგმიური 3056,1 ათ.ლარი, ათვისებულია 2989,5 ათ.ლარი. მათ შორის:

- ხარჯები 96,2 %-ით, გეგმიური 818,3 ათ. ლარი, ათვისებულია 878,3 ათ. ლარი.
- არაფინანსური აქტივების ზრდა 98,4 % გეგმიური 2237,8 ათ.ლარი, ათვისებულია 2202,2 ათ.ლარი.

ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით დაფინანსდა ფანჩატურების მოწყობის სამუშაოები სოფლებში: კრიხი, ზემო კრიხი, ბარეული, ჩორჯო, ზნაკვა, ურავი, აგარა, ხვანჭკარა. მოეწყო და სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა მინი სტადიონებს სოფლებში : ველევი, სადმელი, საკეცია, გორი, ჭელიაღლე, ქვიშარი, ბუგეული, ლიხეთი, ხვანჭკარა, ნიკორწმინდა, აბარი. ქალაქ ამბროლაურში ხვანჭკარისა და აღმაშენებლის ქუჩებზე გაკეთდა სპორტული ტრენაჟორები, რეაბილიტაცია ჩაუტარდა ბიბლიოთეკას სოფელ ქვიშარში, შეკეთდა ჭიდაობის დარბაზის ჭერი, საცურაო აუზის ფასადი და ტურიზმის შენობა ქალაქ ამბროლაურში, გარემონტდა სარეაბილიტაციო ცენტრი შშმ პირთათვის ქალაქ ამბროლაურში, განხორციელდა საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ადგილობრივი ბიუჯეტით თანადაფინანსება.

გაგრძელდა ზოგადი ხედვის ვიდეო კამერებით მუნიციპალიტეტის ტერიტორიის აღჭურვის მეორე რიგის სამუშაოების დაფინანსება.

რეგიონალური განვითარების ფონდიდან დაფინანსდა ქ. ამბროლაურში მდ. კრიხულაზე დამცავი კედლის მოწყობის, საცურაო აუზის რეაბილიტაციის, ქალაქ ამბროლაურში სტადიონის მოწყობის მესამე რიგის სამუშაოები, 2018-2019 წლებში მომხდარი სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები (ქალაქ ამბროლაურში დაზიანებული კორპუსების სახურავების შეკეთება), წინა წლებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ნაშთიდან დარჩენილი თანხიდან, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტურისტული ობიექტების, წყაროების კეთილმოწყობის და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მოედნის მოწყობის სამუშაოები.

03 02 04 - სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემის მოწყობის სამუშაოები

ბიუჯეტი შესრულებულია 99,7 %. გეგმიური 1072,4 ათ. ლარი, ათვისებულია 1068,9 ათ.ლარი. მათ შორის:

- ხარჯები 97,1 %-ით, გეგმიური 2117,0 ათ. ლარი, ათვისებულია 2056,0 ათ. ლარი.
- არაფინანსური აქტივების ზრდა 99,7 % გეგმიური 1070,3 ათ.ლარი, ათვისებულია 1066,8 ათ.ლარი.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში (სხვადასხვა ადგილას) განხორციელდა სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები ქალაქ ამბროლაურის ჯანელიძეების უბანში, სოფლებში: ღვიარა, ხვანჭკარა, 1 ტოლა, წესი, ჩორჯო, სადმელი, მოხდა რეგიონალური ფონდიდან გამოყოფილი სამუშაოების თანადაფინანსება. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხებით გაგრძელდა და დამთავრდა ქალაქ ამბროლაურში საკანალიზაციო ქსელის მოწყობის სამუშაოები.

03 02 05 - წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

ბიუჯეტი შესრულებულია 96,8 %-ით. გეგმიური 184,8 ათ.ლარი, ათვისებულია 178,9 ათ. ლარი.

მათ შორის:

- ხარჯები 90,3 %-ით, გეგმიური 48,5 ათ. ლარი, ათვისებულია 43,8 ათ. ლარი.
- არაფინანსური აქტივების ზრდა 99,1 % გეგმიური 136,3 ათ.ლარი, ათვისებულია 135,1 ათ.ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის სოფლებში: წესი, წკადისი, ხვანჭკარა, სადმელი, გოგოლათი, კაჩაეთი, ზედა ლადიშიდა სხვადა-ფუტიეთის დაზიანებული წყლის სათავე- ნაგებობების და წყალსადენების შეკეთების სამუშაოები . დაფინანსდა სოფ. ზემო კრიხში წყლის მოძიების მიზნით ჭაბურღილისათვის საჭირო სამუშაოები, აგრეთვე ფინანსდება ელექტროენერჯის ხარჯი სოფლებში არსებულ წყალსაქაჩებზე, სანასოსე სისტემების შეუფერხებელი მუშაობისთვის.

პროგრამა 03 03 - სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა:

ბიუჯეტი შესრულებულია 98,3 %-ით. გეგმიური 240,4 ათ.ლარი, ათვისებულია 236,3 ათ.ლარი. პროგრამაში შედის მხოლოდ ერთი ქვეპროგრამა:

03 03 01 - სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა

ბიუჯეტი შესრულებულია 98,3 %. გეგმიური 240,4 ათ.ლარი, ათვისებულია 236,3 ათ.ლარი.

მათ შორის:

- არაფინანსური აქტივების ზრდა 98,3 % გეგმიური 240,4 ათ.ლარი, ათვისებულია 236,3 ათ.ლარი.

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსდა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფლებში: პირველ ტოლაში „ბჟოლების უბანში“, უსახელო ხევზე, ნაპირდამცავი ნაგებობის და ხიდ-ბოგირების მოწყობა, ქვიშარში, „ლოღელიანების უბანში“, უსახელო ხევზე ნაპირდამცავი ნაგებობის მოწყობა, ურავში, მრავალბინიანების დასახლებაში, მდინარე ლუხუნზე ნაპირდამცავი ნაგებობის მოწყობა, ძირაგეულში, ძირაგეულის ხევზე, ნაპირდამცავი ნაგებობის მოწყობა. მოხდა ამ პროექტების თანადაფინანსება.

პროგრამა 03 04 - სოფლის მხარდაჭერის პროგრამა

ბიუჯეტი შესრულებულია 99,6 %-ით. გეგმიური 788,2 ათ. ლარი, ათვისებულია 785,1 ათ.ლარი.

მათ შორის:

- არაფინანსური აქტივების ზრდა 99,6 %-ით. გეგმიური 788,2 ათ. ლარი, ათვისებულია 785,1 ათ. ლარი.

საქართველოს მთავრობის განკარგულებით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, ამბროლაურის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხებით მოხდა მუნიციპალიტეტის სოფლების გარე-განათების ქსელის მოწყობა და გარე-განათება მოეწყო მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა სოფელში.

პროგრამა 03 05 - რეგიონალური პროექტების პროექტირებისა და სამუშაოების ტექ. ზედამხედველობის დაფინანსება

ბიუჯეტი შესრულებულია 98,7 %-ით. გეგმიური 627,5 ათ. ლარი, ათვისებულია 619,3 ათ.ლარი.

მათ შორის:

- ხარჯები 100,0 %-ით, გეგმიური 21,0 ათ. ლარი, ათვისებულია 21,0 ათ. ლარი.
- არაფინანსური აქტივების ზრდა 98,7 % გეგმიური 606,5 ათ.ლარი, ათვისებულია 3598,3671,6 ათ.ლარი.

განხორციელდა ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული ტექნიკური ზედამხედველობის და საპროექტო სამუშაოების ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსება.

პროგრამული კოდი 03 06 - ა(ა)იპ მუნიციპალური წყალმომარაგების ქსელის მოვლა შენახვის ცენტრი

ბიუჯეტი შესრულებულია 99,5 % გეგმიური 250,0 ათ.ლარი, ათვისებულია 248,7 ათ. ლარი.

მუნიციპალური წყალმომარაგების ქსელის მოვლა-შენახვის ცენტრი ემსახურება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის შემადგენლობაში მყოფი სოფლების უკვე არსებული წყლის ცენტრალური მაგისტრალის შეკეთებას. შიდა ქსელის საერთო სიგრძე გაიზარდა და აღემატება 408 კმ-ს, ქსელის დიდი ნაწილის სიძველის გამო ხშირია ლოკალური დაზიანებები და აქედან გამომდინარე საჭირო გახდა რეგულარული აღდგენითი სამუშაოების წარმოება, რასაც გარკვეულწილად ართულებს ქსელების რთული რელიეფური განფენილობა. ხშირია შემთხვევები, განსაკუთრებით წყლის პიკური მოთხოვნის რეჟიმში, როდესაც ერთდროულად რამოდენიმე ლოკაციაზეა დაზიანება და მათზე დროული რეაგირებაა საჭირო. წლის განმავლობაში მოხერხდა, რომ მოსახლეობას მუდმივ რეჟიმში გამართულად მიეწოდებოდა სასმელი წყალი.

2019 წლის განმავლობაში დაზიანებების აღმისაფხვრელად სულ განხორციელდა 412 გასვლა, აქედან – 373 დაზიანებული მაგისტრალის აღდგენა/შეკეთება და – 39 სათავე ნაგებობების გაწმენდა/შემოწმება.

03 07 - ა(ა)იპ ამბროლაურის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური

ბიუჯეტი შესრულებულია 99,8 %, გეგმიური 638,2 ათ. ლარი, ათვისებულია 636,9 ათ.ლარი. დასუფთავების კუთხით ყოველდღიურად ხდებოდა 66351 მ² გზების, 10125 მ² ტროტუარების და 5955 მ² გაზონების დასუფთავება, ხოლო 3 – სოფელში განხორციელდა (ნიკორწმინდა, წესი, ჭრებალო) 5400 მ² მოედნების დაგვა-დასუფთავება. 585 ც. ნაგვის ბუნკერის გამოყენებით წლის განმავლობაში ხდებოდა დაახლოებით 11290 მ² საყოფაცხოვრებო ნაგვის გატანა. დასუფთავდა და მომსახურეობა გაეწია ადმინისტრაციულ შენობებში 1102 მ² ფართობის შიდა ინტერიერს.

გარე განათების მხრივ ხორციელდებოდა ყოველდღიური მოვლა-პატრონობის ღონისძიებები, შეიცვალა დაზიანებული ნათურები, ელ.სადენები და აღდგა მწყობრიდან გამოსული მართვის კარადები. ასევე დაზიანებული სანათები შეიცვალა ახლით.

გამწვანების კუთხით ჩატარდა გაზონების, სკვერების გათიბვა, ეკლიანი ბუჩქების გაკაფვა და შხამქიმიკატით შეწამვლა. სკვერებში შეიწამლა ბზის დეკორატიული ნარგავები, შეეთერდა ხეები, დაირგო ახალი ნარგავები. მოხდა ყვავილების ჩარგვა.

ხდებოდა მუნიციპალური ტყის (1595,2 ჰა) ზედამხედველობა.

კეთილმოწყობის კუთხით მოხდა სანიაღვრე არხების გაწმენდა, შეკეთდა დაზიანებული სკვერის სკამები. სკვერებსა და დაცულ ტერიტორიებზე ჩატარდა აღდგენითი შემოღობვის სამუშაოები. მოხდა მწვანე ნარგავების შემატება.

განახლდა მატერიალურ – ტექნიკური ბაზა .

პრიორიტეტი 04 00 - განათლება

პრიორიტეტის ბიუჯეტი შესრულებულია 96,8 %-ით. გეგმიური 1597,6 ათ.ლარი, ათვისებულია 1546,3 ათ. ლარი.

1. ხარჯები ათვისებულია 97,0 %-ით. გეგმიური 1230,5 ათ. ლარი, ათვისებულია 1193,5 ათ. ლარი.

მათ შორის:

- საქონელი და მომსახურება 83,2 %-ით, გეგმიური 188,0 ათ. ლარი, ათვისებულია 156,5 ათ. ლარი.
- სუბსიდიები 99,5 %, გეგმიური 1042,5 ათ. ლარი, ათვისება 1037,0;
- არაფინანსური აქტივების ზრდა 96,1 % გეგმიური 367,1 ათ.ლარი, ათვისებულია 352,8 ათ.ლარი.

პროგრამული კოდი 04 01 - ა(ა)იპ ამბროლაურის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება პროგრამის ბიუჯეტი შესრულებულია 99,7 %-ით. გეგმიური 911,4 ათ.ლარი, ათვისებულია 908,4 ათ. ლარი.

ა(ა)იპ ამბროლაურის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებაში 2018 წელს რეგისტრირებული იყო 316 აღსაზრდელი, კვების ტექნიკური რეგლამენტის N487 დადგენილებების საფუძველზე შეძენილ იქნა 10 დღიანი პერსპექტიული მენიუ, რაც ითვალისწინებს ყველა იმ საჭირო პროდუქტს, რომელიც აუცილებელია ბავშვის სრულფასოვანი ზრდა-განვითარებისათვის. საბავშვო ბაღებში არსებობს 3 ჯერადი კვება წახემსებით, დაცულია საკვები პროდუქტების შენახვის ჰიგიენური ნორმები.

ოთხ საბავშვო ბაღში ჩატარებული იქნა სარემონტო სამუშაოები. ბაღებში უსაფრთხოების მიზნით შეძენილი იქნა სახანძრო სტენდები და საევაკუაციო გეგმა, საოჯახო ტექნიკა, ელ.ღუმელები, წყლის გამაცხელებლები, სამზარეულოს კარადები და ინვენტარი. ბავშვის ჯანმრთელობისათვის საჭიროა შუადღის ძილი, რისთვისაც შეძენილ იქნა კომფორტული სამსართულიანი საწოლები თავისი აქსესუარებით (მატრასი, ლეიბი, საბანი, თეთრეული და პლედეები).

ბაღებისათვის შეძენილია მუსიკალური ცენტრები და სათამაშოები. თითოეულ ბავშვს აქვს საკუთარი უნარებისა და შესაძლებლობების სრულად გამოვლენის საშუალება. ფიზიკური გარემო ბავშვის საჭიროებაზეა ორიენტირებული.

პროგრამული კოდი 04 02 - ა(ა)ი.პ. მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრი

ბიუჯეტი შესრულებულია 98,3 %-ით. გეგმიური 142,1 ათ.ლარი, ათვისება 139,7 ათ.ლარი.

2019 წლის მონაცემებით მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრში ირიცხებოდა 250 მოსწავლე. ცენტრის მიერ დაგეგმილი 11 ღონისძიებიდან 9 წარმატებით განხორციელდა.

ამასთანავე განხორციელდა 4 დაუგეგმავი ღონისძიება, რომელთა სრული რაოდენობა შეადგენდა 15-ს.

დაგეგმილი ღონისძიებებია:

საზოგადოებრივ-შემეცნებითი გაზეთი – „ოდესღაც-OLIM“

სამხატვრო კონკურსი – „მე ვხედავ სიზმრებს არა თქვენებურს“ ,

გასართობი ღონისძიება „ივრცე“,

ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება "ცაში ასროლილი ქუდები".

ლიტერატურული კონკურსი „მოაზროვნე“,

„ვკითხულობთ თანამედროვე მწერლობას“ - ეკა ქვეანიშვილის შემოქმედებითი საღამო.

კულტურულ-შემეცნებითი ტური „ძველი დიდების ნაკვალევზე" თურქეთში-კაპადოკიაში.

პროექტის „რა სამშობლო მქონია" /კულტურულ-შემეცნებითი ტური გურიაში და ლეჩხუმში./

ბაჩანა ბრეგვამის სახელობის ლიტერატურული კონკურსი – „მწიგნობარი- 2019" რაჭაში.

დაუგეგმავი ღონისძიებებიდან განხორციელდა : წიგნის საჯაროდ კითხვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, 9 აპრილისადმი მიძღვნილი „მადლობა თავისუფლებისთვის“, „ღამე მუზეუმში" ფარგლებში წარმოდგენილი კომპოზიცია – „ანბანთქება". საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ინიციატივით, ამბროლაურის მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრის ორგანიზებით, ამბროლაურის მთავარი ბიბლიოთეკის დარბაზში გაიმართა პროექტი "წიგნიერი"-ს წერითი კონკურსი.

ყველა ზემოთ აღნიშნული პროექტი იყო მაღალი ხარისხის და დაიმსახურა საზოგადოების მოწონება. განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს ბაჩანა ბრეგვამის სახელობის

ლიტერატურული კონკურსი „მწიგნობარი“, რომლის შემეცნებით მნიშვნელობასაც „სახელმწიფო“ უწოდეს ცნობილმა მეცნიერებმა, მწერლებმა და პოეტებმა.

პროგრამული კოდი 04 03 - სკოლების რეაბილიტაცია და ტრანსპორტი

პროგრამის ბიუჯეტი შესრულებულია 91,6 %-ით. გეგმიური 544,1 ათ.ლარი, ათვისებულია 498,3 ათ. ლარი.

მათ შორის:

• ხარჯები 83,2 %-ით, გეგმიური 188,0 ათ. ლარი, ათვისებულია 156,5 ათ. ლარი.

• არაფინანსური აქტივების ზრდა 96,0 % გეგმიური 356,1 ათ.ლარი, ათვისებულია 341,8 ათ.ლარი.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის N 13 განკარგულებით „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ გამოყოფილი იქნა დაფინანსება საჯარო სკოლების მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფისა და საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის. ჩატარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები ქალაქ ამბროლაურის N2 , წესის, ქვედა თლულის, ნიკორწმინდის, ბუგეულის, სადმელის, კვაცხუთის საჯარო სკოლებში. უზრუნველყოფილ იქნა მოსწავლეთა ტრანსპორტირება.

პრიორიტეტი 05 00 - კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები
პრიორიტეტის ბიუჯეტი შესრულებულია 97,4 %-ით. გეგმიური 1750,5 ათ.ლარი, ათვისებულია 1714,5 ათ. ლარი.

1. ხარჯები ათვისებულია 97,5 %-ით. გეგმიური 1727,4 ათ. ლარი, ათვისებულია 1684,1 ათ. ლარი.

მათ შორის:

- საქონელი და მომსახურება 88,0 %-ით, გეგმიური 147,0 ათ. ლარი, ათვისებულია 129,4 ათ. ლარი.

- სუბსიდიები 98,5 %, გეგმიური 1474,1 ათ. ლარი, ათვისება 1451,6;

- არაფინანსური აქტივების ზრდა 94,9 % გეგმიური 32,0 ათ.ლარი, ათვისებულია 30,4 ათ.ლარი.

პროგრამა 05 01 - სპორტის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის ბიუჯეტი შესრულებულია 99,3 %-ით. გეგმიური 694,8 ათ.ლარი, ათვისებულია 689,9 ათ. ლარი. მათ შორის:

- სუბსიდიები 99,5 %, გეგმიური 681,7 ათ. ლარი, ათვისება 678,2;

- არაფინანსური აქტივების ზრდა 89,3 % გეგმიური 13,1 ათ.ლარი, ათვისებულია 11,7 ათ.ლარი.

მათ შორის, პროგრამულ კოდებზე:

05 01 01 - ა(ა)ი.პ. ამბროლაურის კომპლექსური სასპორტო სკოლის ხელშეწყობის პროგრამა
ბიუჯეტი შესრულებულია 99,2 %-ით. გეგმიური 283,7 ათ.ლარი, ათვისებულია 281,5 ათ. ლარი. მათ შორის:

- სუბსიდიები 99,2 %, გეგმიური 271,9 ათ. ლარი, ათვისება 269,8;

- არაფინანსური აქტივების ზრდა 100,0 % გეგმიური 11,7 ათ.ლარი, ათვისებულია 11,7 ათ.ლარი.

ამბროლაურის სასპორტო სკოლამ 2019 წელს მოაწყო 28 გასვლითი ღონისძიება. აქედან თბილისში 10, ქუთაისში 3, ტყიბულში 4, ცაგერში 2, ონი, აბაშა , თელავი, ზესტაფონი, სამტრედია, ლენტეხი , თერჯოლა, ბათუმსა და საჩხერეში თითო გასვლა. სულ მონაწილეობა მიიღო გასვლით ღონისძიებაში 90 მოსწავლემ. ადგილობრივი ღონისძიებები ჩატარდა: კალათბურთში, კუდო-კარატეში, ჭადრაკში, მაგიდის ჩოგბურთში, ფრენბურთში და რაგბში. ადგილობრივ ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო 400 მოსწავლემ.

05 01 02 - ა.ა.ი.პ. ამბროლაურის ჭიდაობის კლუბი „ფალავანი“ს ხელშეწყობის პროგრამა
ბიუჯეტი შესრულებულია 99,9 %-ით. გეგმიური 168,2 ათ.ლარი, ათვისებულია 168,1 ათ. ლარი.

ჭიდაობის კლუბმა „ფალავანი“ 2019 წელს მონაწილეობა მიიღო საზღვარგარეთის 2 ტურნირში. ესენია: ქალაქები: ხარკოვი, სომხეთი.საერთაშორისო ტურნირები თბილისსა, ბათუმსა და ქუთაისში, რესპუბლიკურ ტურნირებში:თბილისში, ბათუმში,ხაშურში, რუსთავში, ბაღდათში და ონში. ადგილობრივ ტურნირებში: რაჭის ღია პირველობა, 26 მაისისადმი და გურამ საღარაძის სახელობისა. ჩატარდა სასწავლო-საწვრთნელი შეკრება ამბროლაურში, დუშეთში, ბირჯოლში, ბაკურიანში და ქობულეთში. ჭიდაობის კლუბში მეცადინეობს 96 მოსწავლე.

05 01 03 - ა.ა.ი.პ. ამბროლაურის საცურაო აუზის ხელშეწყობის პროგრამა

ბიუჯეტი შესრულებულია 99,8 % გეგმიური 109,9 ათ. ლარი ათვისებულია 109,7 ათ. ლარი. საცურაო აუზის შეღავათიანი ტარიფით ისარგებლა მუნიციპალიტეტის 320-მა მოსწავლემ. ერთჯერადი მომსახურება მიიღო 112-მა ადამიანმა, მათ შორის 37 იყო სპორტსმენი-მოჭიდავე. აბონიმენტებით მომსახურება მოიღო 540-მა ადამიანმა.

05 01 04 - ა(ა)იპ ამბროლაურის საფეხბურთო კლუბი „რაჭა“ ხელშეწყობის პროგრამა

ბიუჯეტი შესრულებულია 98,2 %. გეგმიური 133,0 ათ.ლარი, ათვისებულია 130,6 ათ. ლარი.

საფეხბურთო კლუბში „რაჭა“ 2019 წელს მუშაობდა 95 ბავშვთან.

კლუბმა მონაწილეობა მიიღო ეროვნული ჩემპიონატის რეგიონალურ ლიგაში,

